ხურთა: სიმტკიცეო: სკიპტრა: პორფირისა: ჩვენისა: წარმმართებელო: დაყოველთა: მოსავთა: შენთა: ტკბილო: მეოხო: სამეუფოსა: ქალაქსა: შინა: სასოდ: ჩვენდა: აღმართებულო: პატიოსანო: და: შვიდთა: ცათა: უმაღლესო: ტფილის: სიონთა: ღ̃თისმშობელო: მეოხ: შემწე: და: მფარველ: გვექმენ: ჩვენ: მინდობილთა: შენთა: ღ̃თივ: გვირგვინოსანთა: მეფეთ: მეფესა: ლოარსაბს: და: დედასა: ჩუენსა: დედოფალთ: დედოფალს: თამარს: რომელთა: ჟამთა: ვითარებისაგან: უ̃ღთოთა: აგარიანთა: მიერ: წარხმულსა: ტახტსა: ჩვენსა: ტფილის: სასხდომად: თქუენ: ძლით: კუალად: ვეგენით: მას: ჟამსა: ჩვენთა: ცოდვათათვის: შესრულ: იყუნეს: ტაძრად: შენდა: და: შეეგინნეს: უმეტეს: ბილწნი: თავნი: მათნი: ხოლო: ჩვენ: მოვედით: და: მოვიყუანეთ: წმიდა: მეუფე: ჩვენი: ქ̃კზი: ქართლისა: ღირსი: ზებედე: თქუენი: საჭეთმპყრობელი: სამეუფოსა: ქალაქისა: მთავარეფისკოპოზი: იოსებ. ყ̃ღ: კარგი: და: ყოველნი: ებისკოპოსნი: ქართველთა: და: მესხთა: და: განვწმიდეთ: წმიდითა: აიაზმითა: პირველად: დიდებული: და: პატიოსანი: ტაძარი: თქუენი: და: კუალად: ყოველნი: ეკლესიანი: ტფილისისანი: მაშინ: მოვახმევინეთ: ძველნი: თქუენნი: გუჯარნი: და: რაოდენნი: ეკლესიანი: დაბანი: აგარაკნი: ვაჭარნი: ქულბაქნი: და: ალაგნი: მათ: კურთხეულთ: მეფეთაგან: შეწირულიყუნეს: ჩვენ: ახლად: განუახლეთ: და: მოვახსენეთ: პატიოსანსა: ტაძარსა: თქუენსა:, ერთი: კომლი: ამბროსიშვილი:, ორი: კომლი: ქიქნაშვილი:, სამი: კომლი: ტოტუაშვილი:, სამი: კომლი: ბეგლიკაშვილი:, ერთი: კომლი: მგელაშვილი:, წყაროს: თავის: შარა: რომ: გამოიტანს: მტკურამდის:, ერთი: გვერდი: ზემო: ქუიტკირამდის: ამირალას: სახლის: პირდაპირ: შანშუას: ბაღჩის: გვერდით: მტკურამდის: ამაში: არის: ქულბაქი: სასახლე: და: გალავანი: სიონთა: ღ̃თისმშობლისა: ერთი: ქულბაქი: წყაროს: თავსა: ერთი: გვერდი: მირიმანაშვილის: ალაჯანას: ქულბაქის: გვერდი: მესაკლავის: შვილის: ქულბაქის: გვერდი: მამასახლისის: ქულბაქის: პირდაპირ: კიდევ: სასახლე: ერთი: და: ოთხი: ქულბაქი: სიონთა: ღ̃თისმშობლისა: ერთი: გვერდი: მთავარეფისკოპოზის: სასახლის: და: ერთი: გვერდი: ამბარდარი: მირიმანას: სახლის: გვერდი: რასაც: შარა: ჩაიტანს: საყდრის: გალავნის: კარამდის: კიდევ: სიონთა: ღ̃თისმშობლის: სასახლე: შანშუას: სახლის: გვერდი: გულიფაშა: შვილის: სახლის: გვერდი: ქუეით: შარი დაღმა: ტერ არაქელას: ქულბაქის: შარამდის: კელ: შეუალად: ასრე: შეწირული: ყოფილყო: და: განთავისუფლებულნი: რომე: არა: სამეფო: არა: სადედოფლო: არა: სატარულო: არა: მალი: არა: ხარჯი: არა:ბაჟი: არა: კულუხი: არა: საბალახე: არა: ტიკი: ტომარა: არა: ულაყი: არა: მუშა: არა: ერბო: არა: საბაზიერო: არა: სამეჯინიბო: და: რაც: სათხოვარი: ითქმის: არა: დიდი: და: არა: მცირე: არასფერისთანა: არა: ეთხოვებოდესრა: აწე: უზესთაესთა: მოგახსენებთ: და: უქუედაესთა: გიბ̃ზთ: ვინგინდ: კარით: ჩვენით. წარვლენილნი: მოსაქმენი: იყუნეთ: ქალაქის: მოურაო: მამასახლისო: მელიქო: და: ნაცვალო: და: სხვანო: მოსაქმენო: თქუენცა: ასრე: დაუმტკიცეთ: ხოლო: უკეთუ: ამპარტავნებით: და: თავკედლობით: კელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოს: მეფემან: ანუ: დედოფალმან: ანუ: ეფისკოპოზმან: ანუ: უფლისწულმან: ანუ: თავადმან: ანუ: აზნაურმან: ანუ მწვალებელმან: ანუ: სარკინოზმან: და: ეს: სიგელი: მოგიშალოს: შენ: ის: მოშალე: საშინელო: ტფილის: სიონთა: ღ̃თისმშობელო: ამ: სოფელს: ამოწყუეტითა: შერცხვენითა: და: აოკრებითა: და: მას: დიდსა: და: დაუსრულებელსა: საუკუნესა: იუდასთან: ქმენ: ნაწილი: და: მკუიდრობა: მისი: ნურცა: ლოცვითა: ნურცა: წირვითა: და: გლახაკთ: მოწყალებითა: ნურცა: იერუსალემს: წასულითა: ნუ: იქმნების: კსნა: მისი: აქ: ტირილსა: და: გოდებისაგან: და: იქ: წაწყმედისაგან: შემცა: ედების: ძრწოლა: კაენისი: შიშთვილი: იუდასი: მეხტეხილობა: დიოსკორესი: მატლით: განლევა: ჰეროდესი: ცოცხლივ: დანთქმა: დათან: და: აბირონისი: შეჩვენება: ნესტორ: და: ოროგინესი: ხოლო: დამამტკიცებელნი: ამისნი: აკურთხნეს: ღ̃თნ: ცათა: შინა: და: ქუეყანასა: ზედა: დაიწერა: მტკიცე: და: უცვალებელი სიგელი: ესე: სანახებსა: ქართლისასა: სამეუფოსა: ქალაქსა: შინა: ტფილისს: ქ̃კს: სმ: კელითა: კარისა: ჩვენისა: მწიგნობრის: მთავარდიაკუნის: ზებედესითა:

არშიაზე უწერია: ქ. ჩვენ საქართველოეს მეფედ ცხებულის თეიმურაზის ძე. მეფე ქართველთა და კახთა ყაზახისა ბორჩალისა და შამშადილისა ფლობით მპყრობელ მქონებელი მეორე ირაკლი ვამტკიცებთ სიგელსა ამას. თიბათვის იდ ქ̃ეს აქეთ. ჩლოდ.

ქვევით: ქ: მე: ქართლისა: კათალიკოზი: ზებედე: კანონითა: ვამტკიცებ.

ქ. ჩვენ: მეფეთ: მეფე: როსტომ: ვამტკიცებთ: სიგელსა: ამას:

ქ: მე: დედოფალმა: მარიამ: დავამტკიცე: სიგელი: ესე: და: რაც: ამაში: სწერია:

ქ. რა რიგადაც: ამ: მტკიცეს: სიგელში: სწერია: ჩვენ: ქალაქის: მოურავს: მეითარს: მანუჩარს: ეს: ბძანება: ასრე: გაგვითავებია: არც: საპალნეზედ: და: სატარულოზედ: თბილელის: ყმას: სამოურაო: სათხოვარი: და: გამოსაღები: არა: ეთხოვებოდეს რა: ნაცვალო: და: ჩვენო: მოსაქმენო: ვინგინდა ვინ: იყუნეთ: თქუენც: ასრე: გაუთავეთ: ვინც: ეს: მოშალოს: რაც: ამაში: წმიდანი: სწერიან: ღ̃თნ: და: ამ: წმიდათ: მადლმა: ის: მოშალოს: ამინ:

ქ: ჩვენ: მეფეთ: მეფე: შაჰნავაზ: ვამტკიცებთ: სიგელსა: რ.ც: ამაში: სწერია: ასრე: გაგვითავებია: და: ქალაქის: მოკელენო თქუენცა: ასრე: გაუთავეთ.

**1556—1559 წ.** სიგელი მცხეთისა № 51, ბოძებული მამისა ამილახორისშვილის მიერ, დაწერ.ლია ქაღალდზე ზომით 46×24 სანტიმ. სიგელში მოხსენებულია კათალიკოზი დომენტი, რომელიც კათალიკოზად სჩანს 1556 წლიდან. თვით სიგელი დაწერილია მოძღვრის ფილიპე ბარათაშვილის მიერ, რომელიც 1559 წლიდ ნ ქვ:თახევის წინამძღვრად სჩანს. ამის და მიხედვით სიგელი დაწერილი უნდა იყოს დაახლოვებით 1556—1559 წლებში.

ქ: სახელითა: ღ̃თისათა: მამისა: ძისა: და: წმიდისა: სულისათა: მეოხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითა: ყოვლად: წმიდისა. და: უფროსად: კურთხეულისა: დედოფლისა: ჩუენისა: ღ~თის: მშობლისა: და: მარადის: ქალწულისა: მარიამისითა: ძლიერებითა: ცხოველს: მყოფელისა: და: პატიოსნისა: ჯუარისათა: თავს: მდებობითა: და: შუა: მდგომლობითა: წმიდისა: წინასწარ: მეტყუელისა: წინა: მორბედისა: იოვანესითა: და: წმიდისა: იოვანე: ქალწულ: მახარებელისათა: თავს: მდებობითა: და: შუა: მდგომელობითა: წმიდათა: მთავარანგელოზთა: მიქაელ: და: გაბრიელისათა: და: ცხრათავე: დასთა: ანგელოზთა: და: მთავარ: ანგელოზთა: თავსმდებობითა: და: შუა: მდგომელობითა: წმიდათა: მოწამეთა: მთავართა: გ~გი: ევსტათი: დიმიტრი: და: თევდორესითა: თავს: მდებობითა: და: შუა: მდგომელობითა: წმიდათა: მღრდელთ: მოძღუართა: ბასილი: გრიგოლი: და: იოვანე: ოქროპირისათა: თავს: მდებობითა: და: შუა: მდგომელობითა: წმიდათა: თავთა: მოციქულთა: პეტრესითა: და: პავლესითა: და: ათერთმეტთა: მოციქულთა ა: თავს: მდებობითა: და: შუა: მდგომელობითა: წმიდათა: მღრდელთ: მოძღვართა: მოწამეთა; ნეტართა: მამათა: და: მამათ: მთავართა: რომელნი: საუკუნითგან: სათნო: ეყუნეს: უფალსა: ჩუენსა: იესოს: ქრისტეს: და: კუალადცა: სათნო: ყოფად: არიან: ამა: ყოელთა: ზემო: წერილთა: წმიდათა: თავდებობითა: და: შუა: მდგომელობითა: ესე: უკუნისამდე: ჟამთა: გასათავებელი: სიგელი: გკადრეთ: და: მოგახსენეთ: თქუენ: სამოციქულოსა: საპატრიაქოსა: საყდარსა: და: მაშინა: აღმართებულსა: სუეტსა: ცხოელსა: კუართსა. საუფლოსა: და მირონს: ღ~თ: მყოფელსა: და: თქუენსა: საჭეთ: მპყრობელსა: წმიდასა: მეუფესა: პატრიაქ: კ~ზსა: პატრონსა: დომენტის: მე: მამისამან: ამილახორის: შვილმან: შვილთა: და: მომავალთა: სახლისა: ჩუენისათა: ყოველთვე: მას: ჟამსა: ოდეს: კორინთლის: სულხანის: ასული: შევირთე: და: საკანონო: იყო და: თქუენ: რჯულისა: წესითა: გაგვიწყერით: და: გამოგვენახენით: ჩუენ: მოგიდეგით: კარსა: და: ცოდვათა: ჩუენთა: დასაურვებლად: და: შესანდობლად: გკადრეთ: და: შემოგწირეთ: კირბლიდამ: ჩუენი: სახასო: ხოდაბუნი: მიწა: თქუენსავე: ხოდაბუნსა: მოკიდებით: შარას: ქუეშეთ: დაღმა: სობორს: რუმდი: ქუემოთ: სობურს: სამზღურამდი: და: სამანი; ჩაგისვით: მოგვიხსენებია: და: შემოგვიწირავს: მკუიდრად: და: სამამულოდ: არ: მოგეშალოს: არა: ჩუენგან: და: არა: შემდგომად: ჩუენთა: ტომთა: და: ამილახორის: სახლის: ნათესავთაგან: ვინცა: და: რამნცა: ადამის: მონათესავემან: კაცმან: და: ანუ: ჩუენმან: გუარისკაცმან: და: ანუ: სხუამან: მეპატრონემან: ესე: ჩუენგან: შემოწირული: ხოდაბუნი: მიწა: სუეტსა: ცხოელსა: და: მისა: საყდარსა: გამოაკუს: და: იკადროს: და: ამისდა: მოშლად: კელყოს: რისხავსმცა: დაუსაბამო: ღ~თი: მამა: ძე: და: სული: წმიდა: და: ყოველნი: ესე: ზემო: წერილნი: წმიდანი: შემცა: ედების: წრწოლა: კაინისი: შიშთვილი: იუდასი: დანთქმა: დათან. და: აბირონისი: ნურათამცა: სინანულითა: ნუ იქნების:. კსნა: სულისა: მისისა: ჩუენთამცა: ცოდვათა: მზღუელი: იგი: იქნების: დღესა: მას: დიდსა: განკითხვისასა: ამ: სოფელსა: დღეთ: სიმოკლითა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკითხვის: და: საუკუნოს: წაწყმედით: დაიწერა: მტკეცე: ესე: სიგელი: კელითა: ბარათა: შვილის: მონაზონის: ფილიპესითა:

ბოლოს ჯვარია დასმული

1559 წ. სიგელი მცხეთისა № 93, ბოძებული გოგიბასშვილების მიერ 147 ქორონიკონს, დაწერილია ქაღალდზე ზომით $30 \times 25^{3}/_{4}$ სანტიმ. თავი აკლია.

---- თავსმდებობითა: მინდობითა: და შუა: მდგომელობ[ითა: წ̃დათა: მოციქულთა:] პეტრესითა: და: პავლესითა: თავსმდებობითა: მინდობითა: და: შუა: მდგომელობითა: წინას: წარმეტყუელისა: წინა: მორბედისა და იოვანე: ქალწულ: მახარებელისათა: თავსმდებობითა: მინდობითა: და: შუა: მდგომელობითა: ყ̃ლთა: ღ̃თისა: წ̃დათა: ზეცისა: და: ქუეყანისათა: რომელნი: სათნო: ეყუნეს: უფალსა: ღ̃თსა: ჩუენსა: იესოს: ქრისტესა: და კუალადცა: სათნო: ყოფად: არიან: ამათითა: მინდობითა: და: შუა: მდგომელობითა: ესე: უკუნისამდე: ჟამთა: გასათავებელი: წიგნი: და პირი: გკადრეთ: და: მოგაკსენეთ: თქუენ: წ̃დისასა: და ცათა: მობაძავისა: ყ̃ლისა: საქრისტიანოსა: მაკურთხეველსა: და განმანათლებელსა:. სუეტსა: ცხოველსა; კუართსა: სამეუფოსა: და: მირონსა: ღ̃თივ: აღმართებულსა: და: თქუენსა: საჭეთ: მპყრობელსა: წდასა: მეუფესა: ყლისა: საქართველოსა: კ̃ზ: პატრიარქსა: დომენტის: ჩუენ: გოგიბას: შვილმან: იოსაფათ: ჩემან: ძმამან: ვახუშტ: და: ფალან: ხოსრო: შვილთა: და: მომავალთა: სახლისა: ჩუენისათა: მას: ჟამსა: როდეს: ღ̃თივ: გუირგუინოსანმან: მეფეთ: მეფემან: პატრონმან: ლეონ: შეგუიწყალა: და მათი: ქალი: გუიბოძა: ბატონი: ქეთეონ: ჩუენის: ძმისა: ვახუშტისთუის: დიდად: უხუედრი: და საკანონო: იყო: მიუდეგით: კარსა: შევეხუეწენით: და: დაუურვეთ: ჩუენად: სადღეგრძელოდ: და ცოდვათა: ჩუენთა: შესანდობლად: მაჭიხელს: ოცდა ათი: კუამლი: კარგი: გლეხი: უკლებად: ბეგრის: გამომღები:, ორი: ოქროს: კანდელი: სუეტსა: ცხოველსა: წინა: დაუვსებლად: ენთებოდეს: ასრე: თარხნად: და კელ: შეუვლად: როგორაცა: ძუელთა: სიგელთა: და გუჯართა: შიგა: სწერია: არა: ეთხოვებოდესრა: არა: ციხის: მუშაობა: არა: სახლის: მუშაობა: არა: ყანისა: და ვენაკისა: მუშაობა: არა: ულაყის: ზიდვა: არა: მალი: არა: ტიკი: და: ტუმარა: არა: გოჭქათამი: არა: საჯინიბო: არა: საახორსალარო: არა: საბაზიარო: არა: დიდი: და არა: წურილი: სათხოვარი: და გამოსაღები: რაცა: კაცისაგან: მოიგონების: და მწიგნობრისაგან: დაიწერების: არასთანა: არა: ეთხოვებოდეს რა: თუინიერ: თანა: დგომისა: და ძალ: მიცემისაგან: კიდე: ამისად: გათავებისად: თავსმდებად: ღ̃თი: და ყოველნი: წ̃დანი: ღ̃თისანი: მოგუიკსენებიან: და ამა: ზემოწერილთა: მადლი: ვინცა: და რამანცა: გუარმან: კაცმან: ესე: ჩუენგან: შეწირული: ვიდრე: გებადმდე: ჟამთა: ორისავე: სოფლისა: ჩუენი: საკსარი: და შეწირული: მოგუი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალოს: რისხვავსმცა: დაუსაბამო: ღ̃თი: მამა: ძე და: სული: წდა: და ყლნი: წ̃დანი: ღ̃თისანი: ზეცისა: და ქუეყანისანი: შემცა: ედების: კეთრი: გეზისა: შიშთვილი: იუდასი: დანთქმა: დათან: და: აბირონისი: მეხ: დატეხილობა: დიოსკორესი: ნესტორს: და ოროგინეს თანამცა: არს: სამკუიდრებელი: მისი: დაიწერა: მტკიცე: და შეუცვალებელი: სიგელი: ესე: ქ̃კსა: ს̃მზ:

ხელის მოწერა: ვახუშტი.

1560 წ. სიგელი მცხეთისა № 26 დაწერილია ქაღალდზე ზომით 28½×15 სანტიმ. მიცემულია კოსტანტინე ბატონიშვილის მიერ 148 ქორონიკონს.

ქ: ნებითა: და: შეწევნითა: ღ̃თისათა: ესე: უკუნისამდე: ჟამთა: გასათავებელი: წიგნი: და: სიგელი: გკადრეთ: და: მოგახსენეთ: თქუენ: წმიდასა: და: კათოლიკე: საპატრიაქოსა: [მეოხსა] და: შესავედრებელსა: ჩუენსა: დედა: ქალაქსა: მცხეთისა: საყდარსა: და: თქუენსა: საჭეთ: მპყრობელსა: წმიდასა: მეუფესა: სულისა: ჩუენისა: შესავედრებელსა: პატრიაქ: კ̃ზსა: დომენტის: და: საშინელსა: სუეტსა: ცხოველსა: კუართსა: საუფლოსა: და: მირონსა: ღ̃თ: მყოფელსა: ხატსა: ღ̃თისასა: კელით: უქმნელსა: მას: ჟამსა: ოდეს: ჩუენის: განაყოფისა: ხოსროს: ქალი: შევირთე: ჩუენ: პატრონმან: კოსტანტინე: და: პატრონი: კ̃ზი: გამოგუენახა: რჯულისა: წესითა: როგორც: მართებოდა: მიუდევგით: კარსა: და: შემოგეხუეწენით: ჩუენ: პატრონი: კოსტანტინე: და: ძმანი: ჩუენნი: პატრონი: გიორგი: და: მელქისედეგ: მოგახსენეს: და: შემოგწირეს: მცირე: ესე: შემოსაწირავი: შენ: წმიდასა: კათოლიკე: სამოციქულოსა: საყდარსა: მცხეთასა: ცოდვათა: ჩუენთა: შესანდობელად: და: დღეთა: ჩუენთა: განგრძელებისათუის: ტფილის: ქალაქსა: ერთი სასახლე: კალოზანს. წინ შარამდინ. მისით: სახლ: კარითა: და:. მამულითა:. და:. ქულბაქითა:. აის:. (sic) დღეს: მიწა:. კულბითს:. მოგუიხსენებია:. და:. შემოგუიწირავს: სუე*ის: ცხოვლისათუის: ჩუენ: ბატონსა: კოსტანტინეს:. და:. ჩუენთა:. ძმათა:. ვინცა:. და:. რამანცა:. გუარმან:. კაცმან:. მცირე:. ესე:. ჩუენგან:. შეწირული გამოახოს:. და:. გამოსწიროს:. რისხავსმცა:. მამა ძე:. და:. წმიდა:. სული:. რუარასმცა:. სინანულისაგან:. ნუ იქნების:. ხსნა:. სულისა:. მისისა:. ამისნი:. დამამტკიცებელნი:. ღ̃თმან:. აკურთხნეს:. დაიწერა:. სიგელი:. ესე:. ქ̃ვსა სმც:. კელითა: არმაზის:. წინამძღურისა:. ბესარიონისითა:.

+

ხვეულად: კოსტანტინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**1568 წ. სიგელი ქვათახევისა № 23, დაწერილი 156 ქორონიკონს, ქაღალდზე ზომით $38^1/_2 \times 17^1/_2$ სანტიმ.**

ქ: სახელითა: ღმრთისათა: სამ: გვამოვნად: ცნობილისა: მამისა: და: ძისა: და: სულისა: წმიდისათა: მეოხებითა: ყოვლად: უხრწნელისა: და: უფროსად: კურთხეულისა: დედოფლისა: ჩვენისა: ღმრთის: მშობელისათა: და: მარადის: ქალწულისა: მარიამისითა: ძლიერებითა: ცხოელს: მყოფელისა: პატიოსნისა: ჯვარისათა: წმიდათა: უკორცოთა: ზეცისა: ძალთა: ანგელოზთათა: და: ყოველთა: წმიდათა: ღმრთისათა: მეოხებითა: ჩვენ: მსასოებელმან: (კვა: მფარველთა თქვენთამან: ღლანისძემა: მამისამა: და: ჩემთა: შვილთა: გიორგიმ: და: სუმბატ: მას: ჟამსა: ოდეს: პაატი: და: მისნი: შვილი: და: რძალნი: შვიდნი: სულნი: ურჯულოთ: მეგრელთა: ძალლის: პირში: დასასყიდლად: მიუდიოდა: და: ჩვენ: ღლანიძეთ: დავიხსენით: და: ვიყიდეთ: და: აქ: სურამს: დასახლებასა: გვეძლეოდენ მაგრამე: ჩვენ: თქვენ: ყოვლად: წმიდისა: ქვათაკევისა: ღმრთის: მშობელსა: ვარჩიეთ: კავთისკევს: და: შემოგწირეთ: გკადრეთ: და: მოგახსენეთ: პატატი: და: მისნი: შვილნი: და: მომავალნი: ყოველნივე ასრე და: ამა: პირსა: ზედა: რომე: ქრისტიშობის: წინა: დღესა: დეკემბერსა: ოცდა: ოთხსა: ქვათაკევს: რომელიცა: ანუ: ებისკოპოზი: ანუ: წინამძღვარი: იყოს: ჩუენის: სულისათვის: აღაპსა: მიართმიდენ: და: ჩვენთვის: კარგადღებულსა: აღაპსა: გარდაიკდიდენ: და: დახარჯევდნენ: ხუთს: კოკასა: ღვინოსა: ოცის: ლიტრიანითა: ორის: კოდისა: ნამცხვარსა: პურსა: ორსა: თევზსა: და: სხვასა: სამარხოსა: და: ვინცავინ: კრებულნი: და: მონაზონნი: იყუნენ: ჩვენ: ცოდვილთათვის: შენდობასა: ჰყოფდენ: შეიწირე: თქვენ: ქვათაკევისა: ღმრთის: მშობელო: მცირე: ესე: შესაწირავი: და: გვიოხენ: ცოდვათა ჩვენთაგან: დღესა: მას: დიდსა: განკითხვისასა: აწე: ვინცა და: რამანცა: გვარმან: კაცმან: და: ანუ: ამ: ჩვენგან: ნასყიდმან: პატატი: და: მისთა: მომავალთა: ეს: ჩვენგან: დადებული: აღაპი: ხუთი: კოკა: ღვინო: ოცის: ლიტრიანის: კოკითა: ორი: კოდის: ნამცხვარის: პურითა: თევზითა: და: სამარხოდ: მოშალოს: რისხავსმცა: ღმერთი: მამა: ყოვლის: მპყრობელი: შემცა: ედება: ძრწოლა: კაენისი: კეთრი: გეზისა: შიშთილი: იუდასი: მეხ: დატეხილობა: დიოსკორესი: და: ნურა: რათამცა: ნუ: იჴსნება: სული: მისი: ფსკერისაგან: ჯოჯოხეთისა: ხოლო: დამამტკიცებელნი: ამისნი: ღმერთმან: აკურთხნეს: დაიწერა: წიგნი: და: სიგელი: ესე: ქ̃კსა: ს: მივ:

სამი ჯვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1575 წ.** ახლოს. სიგელი, ბოძებული აწყურის საყდრისათვის ამილახორის ცოდუოფილს თამარისა და მისი შვილების მიერ. აქ მოხსენებულ პირთაგან ამილახორის შვილი ქაიარ ცნობილია 1578 წ. მესხური ქრონიკით. ამისდა მიხედვით სიგელი ბოძებულ უნდა იყოს 1575 წ. ახლო ხანებში. სიგელი დაცულია მცხეთის საბუთებში (№ 483), დაწერილია ქაღალდზე ზომით $38^1/_2 \times 28^1/_2$ სანტიმ.

ქ: ეჰა: ყ῀დ: საგალობელსა: ყოელთა: დაბადებულთაგან: სახარულევანსა:
და: მიმადლებულსა: უზეშთაესსა: სერაბინთა: და: ქერაბინთასა: და: უპატიოს-
ნესასა: ყოელთა: ზეცისა: მკედრობათასა: ანგელოზთა: და: კაცთა: შემაერთე-
ბელსა: დიდებასა: ზეცისა: და: ქუეყანისათასა: დამკსნელსა: წყევისასა: და:
მომნიჭებელსა: კურთხევისასა: დაცემულსა: ადამის: აღდგომასა: და: ევას:
განახლებასა: უსასოთა: სასოსა: და: შეუწევნელთა: შემწესა: მიმძლავრებულთა:
შურის: მეძიებელსა: დასჯილთა: მწესა: ღელვაგუემულთა: ნავთ: საყუდელსა:
მწუხარეთა: სიხარულსა: მგლოვარეთა: ნუგეშინის: მცემელსა: უძლურთა:
ძალსა: სნეულთა: მკურნალსა: და: მაშურალთა: განსუენებასა: დაბნელებულთა:
განმანათლებელსა: ტყუეთა: გამომკსნელსა: შეცთომილთა: წინამძღუარსა: და:
ყოველთა: ქრისტიანეთა: შესავედრებელსა: კიდობანსა: სჯულისასა: კარავსა:
საწამებელსა: კუერთხსა: ჰარონისასა: მაყუალსა: შეუწველსა: ტაკუკსა: ოქ-
როსასა: საწმისასა: გედეონისასა: ბჭესა: დაკრძალულსა: წიგნსა: დაბეჭდულსა:
ცხედარსა: სოლომონისასა: და ქებასა: ქებათასა: სასანთლესა: და: ტაბლასა:
და: ოქროსა: სასაკუმევლესა: მთასა: გამოუკუეთელსა: და: საყდარსა: ცეცხლი-
სასა: მოციქულთა: ქადაგებისა: წინასწარმეტყუელთა: მოსწავებასა: მამათ: მთა-
ვართა: სიქადულსა: მღდელთ: მოძღვართა: სამკაულსა: მოწამეთა: ახოვნებასა:
და: მამათა: მოთმინებასა: და: ქალწულთა: სასოებასა: და: ყოველთა: მარ-
თალთა: სიმტკიცესა: და: ძალსა: წმიდისა: სამებისა: ქადაგებასა: მამისა: გან-
სასუენებელსა: ძისა: სამკუიდრებელსა: და: სულსა: წმიდისა: საუნჯესა: დე-
დოფალსა: დაბადებულთასა: უმაღლესსა: ზეცისა: კამარათასა: და: უწმიდე-
სასა: ზეცისა: უკორცოთასა: დედასა: ღ῀თისასა: ყ῀დ: წმიდასა: სასოსა: და:
შესავედრებელსა: ჩუენსა: და: მწესა: და: კელის: ამპყრობელსა: დიდებულსა:
აწყურისა: ღ῀თისმშობელსა: თავად: ყოვლად: წმიდისა: აწყურისა: ღ῀თისმშო-
ბელისა: და: ყოველთა: წმიდათა: ღ῀თისათა ზეცისა: და: ქუეყანისათა: კორ-
ციელათა: და: უკორცოთათა: ამა: ყოველთა: წმიდათა: ღ῀თისათა: თავსმდე-
ბობითა: მინდობითა: და: შუამდგომლობითა: ესე: წიგნი: ფიცი: და: სიგელი:
მიზეზ: შემოუღებელი: ყოვლის: კაცისაგან: მოუდევარი: გკადრეთ: და: მოგახსე-
ნეთ: მე: პატრონმან: თამარმან: და: ძეთა: ჩემთა: პატრონმან: ამილახორმან: გ῀ი:
და: პატრონმან: ელბადურ: და ჩუნმან: ძმამან: აბდუხან*) და: შვილთა: ჩუენთა: ქაიარ:
მელქიზედეგ: ოთარმან: და*) რუგეთელმან: ძმათა: და: მომავალთა: სახლისა: ჩუე-

*) ეს ჩაწერილია სხვა მელნით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნისათა: მას: ჟამსა: ოდეს: ეშმაკის: საბრკისაგან: ძმის: მკლველობა: შემოგუივიდა: და: მოგიდევით: კარსა: თქუენ: და: თქუენს: საყდარსა: და: სარჯულო: გარდაგიწყუიდეთ: შემოგწირეთ: თქუენ: საშინელსა: აწყურისა: ღ͠თის: მშობელსა: და: მოვახსენეთ: მას ჟამისა: საჭეთ: მპყრობელსა: პატრონსა: იერემია: მაწყუერელსა: დაგიდევით: წნისს: შოთას: შვილები: მათით: მამულითა: მთითა: ბარითა: ყანითა: ჭალითა: ვენაკითა: საწყლის: პიროთა შესავლითა: და: გამოსავლითა: ნასყიდითა: და: უსყიდლითა: საკმარითა: და: უკმრითა: და: დღეს: რისაც: რჩომისა: და: ან: მამულს: მქონებელი: არის: მით: ყუალათა: უკლებლად: კიდევე: იქივე: თევდორას: ნაქონი: სახლკარი: და: მამული: მისით: ყუალათა: რისაც მქონებელი: ყოფილიყოს: ნასყიდითა:და: უსყიდლითა: გამოგიდევით სრულად: წნისიდამა: ჩუენ: საქმე: აღარა: გქუნდესრა: აგრევე: ამ: წნისს: ან: შოთას შვილებთან: და: ან: სხუას: მამულთანა: ვისცრა: საქმე: ჰქონდეს: ან: ჩუენს: განაყოფსა: და: ან: სხუას: კაცსა: და: ან: სამართლით: შემოგუივიდეს: პასუხი: ჩუენ: გავსცეთ: თქუენ და: თქუენს: საყდართანა: საქმე: არავისრა: ჰქონდეს: ამას: გარეთ: შემოვსწირეთ: ახალციხეს: ნაიბაიშვილი: მერაბაი: და: მისი: შვილი: და: მისი: ძმის: წულები: იარაღი და: გულაბი:*) და: მისი: შვილები: მათით: სახლკარითა: ქულბაქითა: მათით: სამართლიანითა: ყუალათა: რისაც: მქონებელნი: ყოფილი ყუნენ: და: ან: იყუნენ: იჩქითაძებსა: ჩუენი: მალი: შეჰკდებოდა: ამოგუიკვეთია: სრულობით ჩუენი: კაცი: კარს: აღარ: მიუდგებოდეს: პარაკაძეს: სილიბისტროს: ჩუენი: ვალი: მართებდა: და: ამოგუიკვეთია: და: წიგნ͠ც: დაუფრიწოთ: ეს: რაც: შემოგუიწირავს: განთავისუფლებით: ჩუენ: მაგიერი: კაცი კარს: აღარ: მიუდგებოდეს: და: არც რა: ეთხოებოდეს: ჩუენის: გუარის: კაცისაგან: და: არც: ჩუენგან: მტკიცე: ესეოდენი: იყოს: და: არა: მოგეშალოს: არც: ჩუენგან: და: არც: ჩუენისა: გუარისა: და: ნათესავისაგან: არც: ბატონისაგან: და: არას: კორციელის: კაცისაგან: და: რომელთა: ამისი: ესრეთ: დამტკიცება: ინებონ: და: ჯერ: უჩნდეს: მიმადლე: მათ: წყალობა: შენ: ყ͠დ: წმიდაო: ხოლო: რომელთა: იკადრონ: მოშლა: და: ქცევა: ამისი: დიდი: ვინმე: იყოს: გინათუ: მცირე: რასაც: მიზეზისა: მოღებითა: მოშალოს: პირველადმცა: შენთა: მგმობართა: თანა: დაისაჯებიან: და: მერმე: ძისა: შენისა: ჯუარის: მცუმელთა: თანამც: განიპატიჟების: შემც: ედების: კეთრი: გეზისი: შიშთვილი: იუდასი: ძრწოლა: კაენისი: ცოცხლივ: დანთქმა: დათან: და: აბირონისი: და: ყოველთავემც: ღ͠თის უარის მყოფელთა: თანა: დაისაჯების: სული: მისი: ამინ: ხ͠: რომელთა: დაამტკიცონ: ესე: ჩუენგან: სასოებით: დამტკიცებული: და: ცოდვათა: ჩუენთა: საკსრად: და: ღონედ: მოღებული: მათ: იპოონ: წყალობა: დღესა: მას: სასჯელისასა: ამინ: და: იყავნ:

5 ჯვარი.

---

*) ეს სხვა მელნით. წინათ წერილი ამოფხეკილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1575 წ. სიგელი მცხეთისა № 9, დაწერილი ქაღალდზე ზომით 26³/₄×17¹/₂ სანტმ. ბოძებული კახთა მეფის ალექსანდრეს მიერ 263 ქორონიკონს.

ქ:. ჩვენ:. მეფემან: პატრონმან:. ალექსანდრემ:. და ძეთა:. ჩუენთა:. მოვაახსენეთ:. და:. შევსწირეთ:. სუეტსა:. ღ̃თივ:. აღმართებულსა:. და:. კუართსა:. საუფლოსა:. და:. მირონსა:. ღმერთს:. მყოფელსა:. ბარვუნთათ:. კუამლი:. კაცი:. ორმოცი:. ასრე .და ამა:. წესითა:.რომე:. რაცა:. საბატონო:. გამოსაღები:. იყოს:. და:. ანუ:. სამურავო:. ყოვლითურ:. უნაკლულოდ:. საყდარს:. მიებარებოდეს:. მეფობისა:. ჩუენისა:. წარსამართებლად:. და:. ცოდვათა:. ჩუენთა:. შესანდობელად:. და არც:. მოურავის:. დაუყენებთ:. ქ̃კსა:. სნიგ:.

ხვეულად: ალექსანდრე:.

1579 წ. სიგელი მცხეთისა, დაცული ქ. შ. წერა-კითხ. გამავრ. საზოგადოების წიგნთსაცავში, დაწერილია ქაღალდზე ზომით 372×20 სანტმ. თავიც აკლია. მცხეთის საბუთებში მოიპოვება პირი ამ სიგელისა № 369 გადაწერილი მე-XVIII საუკ, რომელიც დაცულია ტფილ. გუბსახელმწიფო ქონებათა სამართველოში. თავი აქ დაზიანებულია, მაგრამ მისი სრულად აღდგენა შეიძლება სხვა მე-XV საუკ. მცხეთის სიგელების მიხედვით, რომელთაც იმ გვარივე შესავალი აქვთ. სიგელი ბოძებულია კახეთის მეფის ალექსანდრე II-ს მიერ 267 ქორონიკონს.

[ქ: რომელი: არს: და: რომლისა: მიერ: ძალით: ექმნეს: ყოველნი: აღნაგნი: არსისა: არსთა: უცვალებელისა: უსაზღუროსა: ძალგანუზომელისა: გარე: შემოუწერელისა: ხოლო: მიუწდომელობით: ცნობილისა: რომელსა: ძალნი: უკორცოთანი: თუინიერ: გარეშე: მისსა: სახიერებითა: ვერ: მისწუთებიან: ცნობად: და: თუალთ: შედგმად: რომელსა: ცანი: ვერ: დაიტევენ: და: წესნი: ანგელოზთანი: უძრწიან: რომელსა: ქუეყანა: ვითარცა: გუგა: ეგრეთ: შემოუწერია: უსაზღვრო: განუცდელი: და: გარე: შემოუწერელი: ურაბამო: ურაულო: ყოველგან: მყოფი: და: ყოველთა: მხედი: მბადი: და: წარმომაარსებელი: ყოველთა: ყოფილთა: და: ყოფადთა: ეჰა: ვითარ: კსნისათუის: ჩუენ: ცოდვილთასა: საშოსა: შენსა: უთესლოდ: და: უხრწნელად: შეურყევნელად: და: შეუგინებელად: დაიტია: დაუტევნელი: ცათა: და: ქუეყანისა: და: თბითა: კაცობრ ვითა: შემოსილ: იქმნა: რომელმან: წ̃მის: ყოფით: დაჰბადნა: ყოველნი: აღნაგნი: ვითარ: მონათა: თანა: შერაცხილად: ჰშევ: ვიტყუი: ღ̃თებასა: და: კაცებასა: ორითა: ბუნებითა: სრულითა: რომლისა: შობასა: ანგელოზნი: ვითარცა: ღ̃თსა: მოგუნი: ვითარცა: მეუფესა: ვარსკულავნი: ვითარცა: დამბადებელსა: ერნი: ვითარცა: მაცხოვარსა: და:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსნი: ვითარცა: მონასა: მსახურებდეს: რომელსა: ევნებოდა: ვითარცა:
კაცსა: და: თავს: იდვ?: ჩუენ: ცთომილთათჳს: შიშილი: წყურილი: ნალუ-
ლისა: სუმა: ყურიმლისა: ცემა: და: სამსჭუალთა: მიერ: გუერდსა: მოწყლვა:
ეჴა: რომლისა: მ̃რ: ალიკოცა: ყოველივე მომყუირტოვნება: და: უსჯულოება:
ცხედარო: სოლომონისო:] ასულო: დავითისო: და: ქალწულად: [მშობელო]
ევმანოელისა: რომელი: ეგე: სამწლისა: მიყუანებულ: იქმენ: ტაძრად: ტაძა-
რო: სულისა: წმიდისაო: მახარებელო: ევას: ნაშობთა: გარეულთაო: ბნელი-
საგან: ნათლად: მომყუანებელო: ნათლად: მოცემისა: და: ჩუენად: ზღუდედ:
გამორჩეულო: წარმმართებელო: მეფობისა: ჩვენისა: დიდებაო: და: სიმტკიცეო:
სკიპტრა: პორფირისა: ჩუენისა: და: გუირ[გუინისა: მეტეხთა] და: ხახული-
სა: ღ̃თის: მშო [ბელისა] თა: და: შუა: მდგომელობითა: თქუენითა: [მვედრებელ]
შან: ძისა: თქვენისამან: და: მონდობილმან: ცვა: ფარვათა: თქუენთამან: მე-
ფეთ: მეფისა: სულკურთხეულისა: პატრონის: ლეონის: ძემან: მეფეთ: მეფე-
მან: პატრონმან: ალექსანდრე: და: თანა: მეცხედრემან: ჩუენმან: დედოფალ-
თა: დედოფალმან: პატრონმან: თინათინ: და: ძეთა: ჩუენთა: პატრონმან:
ერაკლე: პატრონმან: დავით: პატრონმან: გიორგი: პატრონმან: კოსტანტი-
ნე: და: ბატონმან: როსტომ: ვითარ: სამართლად: გვმართებდა: ეგრეთ: ჯერ:
ვიჩინეთ: და: ვ̃ძიეთ: სამსახურებლად: სუეტისა: ღ̃თივ: აღმართებულისა:
კუართისა: საუფლოსა: და: მირონისა: ღმერთ: მყოფელისა: და: მუნ: მყოფი-
სა: ელიას: ხალენისა: მას: ჟამსა: ოდეს: ჩუენს. საბატონოში: მცხეთის: მამუ-
ლ[ისა: და]: შესავლისა: და: სოფლების: მზღუარნი: და: სარგონნი: მეჟმე-
ობით: მესამზღურეთა: მამულნი: და: აგარაკნი: მოე•აცნეს: მეჟმეობითა: და:
ღ̃თის: უშიშობითა: მობძანდა: წინაშე: ჩუენსა: ჩუენის: სულის: მეოხი: და:
შესავედრებელი: ჩუენი: ძმა: პატრონი: კათალიკოზი: ნიკოლოზ: და: სრუ-
ლად: ერთობილნი: მცხეთის: შვილნი: მცხეთის: ძუელნი: გუჯარნი: და:
სიგელნი: მოიხუნეს: გავსინჯეთ და: ვქენით: მოკითხულნი: რომელიც: პირ-
ველთ: ძუელთ: კელმწიფეთ: ჩუენთ: მამათა: და: პაპათა: დედათა: და: ბები-
ათა: ჩუენთა: სულკურთხეულთ: გეერიგებინნეს: გაესაზღურნეს: და: შეეწი-
რნეს: ეგრეთვე: ჯერ: ვიჩინეთ: შევსწირეთ: და: მოვახსენეთ: უდაბნონი:
მონასტერნი: ეკლესიანი. სოფელნი: და: აგარაკნი: აზნაურნი: და: გლეხნი:
მოგახსენეთ: ხორაუგს: საწინამძღორო: მონასტერი: ყუავისთავი: კილმატი:
და: ასკილოვანი: კილმატის: ციხე: მთითა და: ბარითა: ვერენა: ციხითა:
გარდაღმა: საფსტეს: ციხემდი: გარდამოღმა: ფადლაშენი: ტაზრები: კეხოა:
საბა წმინდა: კაწარეთს: ძმარაშვილის: სახლს: აქათ: რომ: ღრმა: ღელე:
ჩამოვა: ჩამოსწრ: ჩამოვლით: იორს: გაღმა: რაჟიანთ: ეკლესიას: ქუემოთ:
სამგორში: თამარ მეფისაგან: აღებულს: რუს: შიგნით: ჩავლით: ბოსტან:
ქალაქის: მზღურამდი: ჩავლით: საჯერნეს: ტბამდი: მიდგმით: გრძელს: ტბამ-
დი: ჩავლით: ამართულს: ქუამდი: ჩავლით: შურთხაანჟ: კლდემდი: ჩავლით:
ლურჯს: ფლატომდი: ჩავლით: მამადის: გორამდი: მიდგმით: საქალაქოს:
შარამდი: ამოვლით: დამპალის: კერძო: იორთაკენ: მარტვილთ: მონასტერთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვლით: წინ. გამოვლით: იორის: პირს: საყდრის: ჩამოსწორ: სამნი: გო-
რანი: სხენაან: დედოფლის: წისქვილთა: თავს: იორსა: გამოღმა: ხშირს: მუ-
ხებთან: ისპიანთ: ბოლოს: რომ: დიდი: ლიაა: ამოსწურივ: მცხეთის: გორა-
კი: თარაქთ: ბოლოსა: ამოვლით: ბრმა: წყარო: ამოვლით: შავქეთთ: ღელე:
ამოვლით: დავალთისასა: იქით: რომ: ცოტა: ღელეა: რომელსა: ეწოდების:
მარიამ ჯვარი: შიგნით: გარდავლით: შიგნით: კერძო: და: სტაფის: თავს:
ძველი: ეკლესია: ჩავლით: ველტყიანი: ჩავლით: შავწყაროს: ღელე ჩავლით:
წინანდლის: თავს: ქედ: ქედნი: მიადგებიან: ხოდაშენსა: და წინანდალს: შუა:
ოლე: ჩავლის: დაბლა: ბაღთ: კარნი: ამოვლით: ვანთა: მონასტერი: ბ..შატი:
მთითა: და:ბარითა: და: მონასტრითა: შაშიანთ: თავს: მთავარანგელოზთ: საყ-
დარი: მარმაროვა[ნთ:] სამძღურამდის: მოდამნახის: ციხემდი: წავლით: გო-
გას: წყარომდი: და: დევთ: ნასაზღარამდი: და: წავლით: ომანის: სასაკლაომ-
დი: მიდგმით: გომთ: წყლამდი: სადაც: გომის: წყალი: ჭერემის: კევს: შერ
თვის: იქიმდი: ნაპირნი: რაჟაზს: წმიდის: გიორგის: საყდარნი: და შესავალნი:
ვარცა: და: დუმას: უბანი: და შენოანთ: უბანი: ახალშენი: სოფელი: და:
თოღაანი: მათითა: მზღურითა: კახის: უბანი: თავისის: მთითა: და: წყლითა:
შალვაშვილნი: თავისის: მამულითა: ჯვარა: ნასოფლარი: ახშანს: ხუთი: კუამ-
ლი: გლეხი: და ერთი: ზვარი: ალაზანს: გაღმა: ფიჩხოვანს: თორმეტი: მთე-
ლი: მამული: საგლეხო: ორი: კომლი: გლეხი: პანკისა: და თორმეტნი: კომ-
ლნი: ვაჭარნი: სომეხი: და: ურია: გრემს: ორნი: გლეხნი: გვერდის: ძირს:
ვეძის კევს: მონასტერი: ვარცანისა: და: სოფელი: ვეძის: კევი: გიორგი:
წმიდა: გოგანი: ღელის: უბანი: ქორეთი: სეფორის: ღელე: და: ბაწკინტე-
ლის: ღელე: ორნივე: მთითა: და: ბარითა: ჩელტს: გამოღმა: გრემისაკენ:
კერძად: დაბლა: თეთრს: კლდემდი: სოფელი: ფაშაანი: გავას: საკუამლო:
შვიდი: და: ზვარი: ერთი: ბარაუნთ: რაც: მცხეთის: სოფელნი: მონასტერნი:
საკონე: საფიჩხულე: სათევზითა: ლაგოდეხი: ლანუკი: რაც: მცხეთისა: არის:
ვარდიანში: შვიდი: მთელი: საკუამლო: ცლისნელში: ლერწანი: და: სოფელი:
კულენანი: ბაზარს: სასახლე: საყდარი: და: თვრამეტი: კომლი: ურია: და: სო-
მეხი: ერწოს: მონასტერი: ბოჭორმისა: წმიდის: გიორგისა: მისის: შესავლითა:
ერწოს: მონასტერი: კიდევე: წმინდის: არჩილის: სამარხო: სოფელი: კვერნა-
ძენი: ტოხაძე: თავისის: მამულითა: ერწოს: თხილნარას: ორს: გლეხს: ომან:
ეცილებოდა: და დარჩა: რამინსა: სად ც: რომ: მამული: დღეს: კელთა: აქს:
მთითა: და: ბარითა: საკნავითა: და: უკნავითა: შესავლითა: და: გასავლითა:
ჩრდილოთ: აძუძამდე: დასავლით: თეძმის: კევამდე: ეცილებოდა: ომან:
ეცილებოდა: ცოტას: ალაგსა: ზაქარანს: და: ტოხაძეს: დარჩა: რამინოს:
სოფელი: ნოდკოტრა: და: ასადურნი: სოფელნი: ჩეკურნნი: მთითა: და ბარი-
თა: აღმოსავლით: ნეფის. წყარომდე: და ზემოთ: გოგის: ფლატემდე: დასავ-
ლით: ძლევის: ჯვარს: აქეთ: გასწურივ: დამპალი: წყალი: მიდგმით: გრძე-
ლი: ღელე: ტოხაძეს: და ნოდოკრელთ: მთის: მზღუარში: სამანი: უსხენ:
უღელტეხილთა: გორასთანა: ძაგნაკორნას: რაც: მცხეთისა: არის: თორმეტი:
მთელი: მამული: აანუშს: მონასტერი: ყოვლად: წმინდისა: და: სოფელი:

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანუში: და: ოდიშელიძენი: ზარბე: მამის: იმედი: და მისი: განაყოფი: სოფელი: წირდალი: ხა[illegible]ის: წობენა: ნოჯა: და ნოჯიკეთი: პიტლოანი: ევჟეტი: აბანო: გორანა: თორეჯნი: სოფელი:. ილი:. ხარჭაშნს: თიანეთს: თავს: სოფეჯიჯეთი: და ეკლესია: სვეტის: ცხოვლისა: და გლეხნი: ბაძანძურიძენი: და: ხანდაკს: კირაულნი: მათითა: მამულითა: სოფელი: ბაგა: და: ცოცხაძის: მამული: სრულა: ერთპირად: მისი: სოფელი: ქოპარ[illegible]ი: სოფელი: ბიწმენი: და გიჯიყრელნი: ორნი: სახლნი: ახატანს: ხუთი: მთელი: გლეხი: და: საგლეხო: მამული: მეორე: ბიწმენი: სოფელი: ბოკოწინი: სოფელი: არჯაკალი: და: მიწობელნი: ნავნიოს: და: გიორგი: მისი: განაყოფი: და: პატა: მისი: განაყოფი: მათითა: მამულითა: სოფელი: იპტისი: სოფელი: ზაქარიანი: სოფელი: აზვი: საგურამოს: ზედაძნელაშვილნი: თავისის: მამულითა: გორის: უბანს: წყალს: სთველას: შვილი: თავისის: მამულითა: მონასტერი: ჯვარისა: თავისის: მამულითა: სოფელი: ფოსვი: სოფელი: ჯაჭვი: და გარაყანიძე: ზავრად: თავისის: მამულითა: ნასოფლარი: ავჭალა: სოფელი: ოროტა: თავისის: მზღურითა: მოლამურთ: თავს: რომ ჯვარი: ასვენია: იქით: მოლამურთ: ჩატანებასა: მუხრაულთა: პირპირ: გოგიას: კევამდი: უნაგირას: ქვას: ქუემოთ: გარდაკუეთილამდი: იქით: წამოლმა: ჩრდილთა: წუერწუერ: წამოვლით: სადა: უფროს: მაღალი: ქედი: არის: კურინჩხთაკენ: რომე: თელანი: დგანან: იმას: ჩავლით: სადა: გრდნული: შარა: გარდაუქცევს: შარა: შარა: წავლით: სადა: დიდნი: სხალნი: დგანან: იქიმდი: ნიშარძეულის: ნასახლარამდე: ღელე: შემოტანებასა: სამნიას: შვილის: მიწის: თავს: რომ. იფნი: დგანან: სამის: კომლნის: ნასახლარნი: ოროტისათვის: დარჩნენ: ესე: იქით: ახალუბანს: ჩატანებით: ქაცუთა: თავს: ქუანი: სხენან: იქით: ქაცუთ: ჩატანებით: კევამდი: სადა: სანაკირო: შარა: გავალს: ამას: ამოვლით: ნასახლარამდე: ფხაკას: იქით: ქედის: ბოლომდე: ამათ: შუა: რაც: არის: ყუალა: ოროტისა: არის: გლდანს: ლაჭიაძე: გიორგი: და: გულბაათ: თავისის: მამულითა: ნასოფლარი: კუტალა: ლილოს: გუერდის: სოფელი: ახალდაბა: სოფელი: ჯიმითი: მისითა: მთითა: და: ბარითა: დასავლით: საყარულოს: კოშკთაკენ: თუთუბოს: ღელე: ნასოფლარი: ნაკუერცხალა: ჩავლით: ღრმა: ღელე: მიდგმით: საგუელე: ქუა: გაღმით: დავით: აღმაშენებელის: აღშენებული: ქიაბერთ: ეკლესია: ფხოელთაკენ: წამოვლით: ლაკუათ: პირს: ჩავლით: წურილი: ღელე: მიდგმით: დიდი: გორა: გარდავლით: ჩუმლაყთაკენ: კულენანნი: ჩავლით: ძამაურა: ჩავლით: წურილი: კევი: ჩავლით: გაწყუეტილა: წნორის: მიდგმამდე: ზემოთ: ნაპირთ: სამძღურამდე: რაჯაყი: და: მისი: მიდგმა: და: ნასოფლარი: გაღმა: შავწყალის: პირს: სოფელი: წითელანი: ამათ: მამულთა: მთათა: და ბართა: მინდორთა: თუ: ტყეთა: რაც: რომე: საძოვრათ: პირუტყუი: დადგებოდეს: ზამთარ: თუ: ზაფხულ: ამათ: საძოვრის: სარგოს: თქუენ: აიღებდე[illegible]: ცხვარი: იყოს: თუ: ძროხა: თუ: ღორი: უდაბნოებს: მის: წილს: ნურას: დააკლებთ: და: თქუენი: თქუენვე: მოიკსენეთ: ჩუენის: ბძანებით: წარვლელინნი: და: ამა: სამანთა: და: სირონთ: დამსხმელნი: და: მოწამენი: ბატონი: ალავერდელი: კირილე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭერემელ: ეფისკოპოზი: ბასილ: ჩოლაყაშვილი: რევაზ: ციციშვილი: მე-
რაბ: დიდი: სავინაა: მაყაშვილი:ზაალ: ზუბელი: რუსის: შვილი: ინდო:
ჩოლაყაშვილი: თამაზ: ვაჩნაძე: გიორგი: ბულალაშვილი: და: სეფე-
დავლე: ობლისძე:. ვერცა: ალავერდელმან: და ვერც: სხვათ: ჩვენის: სა-
ბატონოს: ეფისკოპოზთ: თქუენი: ურჩობა: და: წინა: აღმდგომობა: ვერა: ქნან:
რა: და: თუ რამ: დააშაონ: და: რჯულიერის: საქმით: გაუწყრეთ: არ: დაგიშა-
ლოთ: და: ვერცარა: თქუენის: საყდრის: ნიშანი: და: სამართალი: და: ბაჟი:
დაგაკლონ: ესე: ასე: გაგვითავებია: და: მოგუიხსენებია: თარხნად: და: კელ-
შეუალად: და: ყოვლის: ნივთისაგან: რომ: არაფერი: არა: ეთხოებოდეს
რა: და არცარა: ეწერებოდეს: არა: მალი: არა: სათათრო: დიდი: საური:
არა: სამასპინძლო: არა: საჯინიბო: არა: საახორსალლო: არა: შეშისა: და:
წყლის: ზიდვა: არა: მუახლე: არა: ძიძა: არა: ქორწილის: ხარჯი: და: არც:
მიცვალებულისა: არაფერი: რაც: მოიგონების: და: ან: რაც: მწერლისაგან:
დაიწერების: არც: ბაზიერთა: და: არც: მეურმეთა: თვინიერ: ლაშქარ: ნადი-
რობისა: და: მტრის: დარაჯობა: და: თუ: მცხეთისა: და: უდაბნოსაგან: მო-
ცლით: იყუნენ: ციხე: გვიმუშაონ: და: სასახლეც: უმიზეზოდ: იმ[უშაონ:]
არც: თქუენი: უნდომო: მოკელე: [დავაყენოთ: უამებელი:] ესე: ასე: დაგი-
მტკიცეთ: და მოგახსენეთ: ძმასა: ჩუენსა: პატრონს: კ̃ზს: წმიდის: ბასილის:
და: იოვანე: ოქროპირისა: და გრიგოლის: მიმსგავსებულსა: და: მათის: წე-
სის: მიმბაძავსა: კათალიკოზს: ნიკოლაოზს: ასე: მოგახსენეთ: და: დაგიმტკი-
ცეთ: წმიდასა: კათოლიკე: ეკლესიასა: და: სუეტსა: ცხოველსა: და: კუართსა:
საუფლოსა: და: მირონსა: წმიდასა: აწე: ვინცა: და: რამანცა: ამისდა: შლად:
და: ქცევად: კელყოს: და: გამოკუებად: და: დაკნინებად: ჯერემც: რისხავს:
დამბადებელი: ღ̃თი: მამა: [ძე: და: სული: წმინდა: და: მისი: უბიწოდ: მშო-
ბელი: წმინდა: ქალწული: მარიამ: და: წმინდანი: ზეცისა: ძა]ლნი: ანგელოზ-
ნი: და მთავარანგელოზნი: წმიდა: ცხოველს: მყოფელი: ძელი: ჯვარისა:
ქრისტიანეთა: შესავედრებელი: წმიდანი: წინასწარმეტყუელნი: მოციქულნი:
მოწამენი: და: ნეტარნი: მამანი: წმიდანი: ქალწულნი: მეუდაბნოენი: მესუე-
ტენი: რომელთა: დაჯერეს: ღ̃თი: ღუაწლითა: მათითა: მშლელი: და: მაქცე-
ველი: ამისი: კრულმცა: არის: ცათა: შინა: და ქუეყანასა: ზედა: ნურათამც:
სინანულით: ნუ: იქნების: კსნა: სინანულისა: მისისა: მაზედამცა: დაესრულე-
ბის: ღაღადება: მესადარვისა: ფსალმუნისა: იყავნ: ცოლი: მისი: ქურივ: და:
შვილნი: მისნი: ობოლ: მასზედამცა: მოიწევის: კმა: იგი: წარვედით: დაწყეუ-
ლნო: ცეცხლსა: საუკუნესა: განმზადებულსა: ეშმაკისათვის: და: ანგელოზთა:
მისთათვის: მაზედამცა: მოიწევის: მეხი: მსგავსად: დიოსკორესა: ცოცხლივ:
დანთქმა: დათან: და: აბირონისა: და: შიშთვილი: უფლის მიმცემემელისა: იუ-
დასი: და: წყევა ნისტორ: და: ორიგინესი: დამამტკიცებელნი: ამისნი ღმერთმან:
აკურთხნეს: და: წმიდამან უბიწოდ: მშობელმან: მარიამ: და: სუეტმან: ცხო-
ველმან: სამოციქულომან: საყდარმან: და მას: შინა: მკუიდრმან: კუართმან:
უფლისამან: და: წმიდამან: მირონმან: დაიწერა: ინდიკტიონსა: მეფობასა: ჩუე-

ნისასასა: თხუთმეტესა:- ქ̃სა:. სნიზ:. კელითა: წინამძღურის: ვაჩნაძის: იოსებისათა: და: მოწამეცა: ვარ:

ხვეულად: ალექსანდრე:. ვამტკიცებ:. ნებითა: ღმრთისათა:.

თინათინ

დასმულია 4 ბეჭედი, რომელთაგან ერთი მეფის ალექსანდრესია და ერთი ამბა-ალავერდელისა.

1580 წ. შიომღვიმის სიგელი № 4, დაწერილი ქაღალდზე ზომით 41½×15½ სანტიმ. ბოძებულია 268 ქორონიკონს სვიმონ მეფის მიერ.

ქ: ჩუენ: ღთიუ: გჳრგჳინოსან: მეფეთ: მეფემან: სვიმეონ: და: თანა: მეცხედრემან: ჩუენმან: დედოფალთა: დედოფალმან: ნესტანდარეჯან: და: პირმშომან: ძემან: ჩუენმან: პატრონმან: გი̃გი პატრონმან: ლუარსაბ: და: პატრონმან: ალექსანდრე: ესე: სიმტკიცისა წიგნი: და: ნიშანი: გკადრეთ: და: მოგახსენეთ: თქუენ: წმიდათა: უწმიდესსა: განმანათლებელსა: ქართველთასა: მამასა: მამათასა: წმიდასა: შიოს: მას ჟამსა: ოდეს: მოვიდეს: წინაშე: ჩუენსა: ღთშემოსილი:. წინამძღვარი:. შილა: და: თქუენნი: კრებულნი:. და:. ძველთაგან: მეფეთა: შეწირული: წიგნები:, მოიღეს: და:. უდაბნოსა: მღვიმისა:. და: მათისა:. შესავლისა:. სოფლისა: სხალტბისა: და: ნასტაგისისა:. სითარხნისა: წიგნსა: და: ნიშანსა: გვეაჯნეს: ჩუენ: ვისმინეთ: აჯა: და: მოჴსენება: მათი: და:. ესე:. წიგნი: და: ნიშანი: გკადრეთ: და: მოგახსენეთ: ასრე: და: ამა: პირსა: ზედან: რომე: რაცა: ამასწინათ:. სახელოვანთა: და: სამოთხეს: დამკჳდრებულთა: ჩუენთა: მამათა: და: პაპათა: მეფეთაგან ძველთაგან: წიგნი: მოგხსენებოდა: ჩუენცა: დაგიმტკიცეთ: და მოგახსენეთ: ასრე: რომე: არაფერი: და: არასთანა: საჩუენო: სათხოვარი: და: გამოსაღები: სხალტბასა: და: ნასტაგისსა: არა: ეთხოვებოდესრა:. და: რარიგადცა: ძველის: წიგნებშიგა: ეწეროს: მითვე: წესითა:. შობასა: და: შიოობას: დღესა: კარგადებულსა. ალაპსა: გარდაიკდიდენ:. და: იყუნენ: თარხანნი: და: თავისუფალნი ყოვლისა: ფერისა: საჩუენოსა: სათხოვრისა და: გამოსაღებისაგან:. და: მსახურებდენ: ტაძარსა: თქუენსა წმიდასა: უდაბნოსა:. მღვიმეს: წარსამართებლად: მეფობისა: ჩუენისა: და:. ძეთა: ჩუენთა: სადღეგრძლოდ: უკუნითი: უკუნისამდე: ამინ: დაიწერა:. მტკიცე: და: უცვალებელი:. ნიშანი: და: ბძბა:. ესე: ქ̃კს: სჲჱ: თვესა: სეკდენბერსა: რვასა: კელითა: კარის: ჩუენისა: მწიგნობრისა: ალათანგელის. ძისა: ნავროზისითა:

ხვეულად: სვიმონ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეორე გვერდზე ხვეულად: ლუარსაბ. ალექსანდრე.

ბეჭედი სპარსული წარწერით

ნუსხა ხუცურად: სვიმონ მეფის სიგელი სხალტბისა და ნასტაგისის სითარხნისა

მხედრულად: ქ:. რარიგადც:. ამ:. ძუელს: სიგელში: სხალტბასა:. და: ნასტაკის:. სითარხნე: უწერია: ჩუენც: იმრიგად: გუითარხნებია: და: ნურა: ჩუენი: მოსაქმე: ნურასა: სთხოვთ: და: თქუენც: ასრე: დაუმტკიცეთ: ქ~კსა: ტკა: ენკენისთუეს:. კე

როსტომ მეფის ბეჭედი სპარსული წარწერით.

1587 წ. სიგელი მცხეთისა № 95 ბოძებული 275 ქორონიკონს ერაჯ, გულაბ და სახინთ ბარათაშვილების მიერ, დაწერილია ქაღალდზედ ზომით 86 ½×23½ სანტიმ.

ქ სახელითა: სახიერისა: არსისა: არსთა: უცვალებლისა: უხილავისა: უსაზღურ-სა: ძალ: განუზომელისა: ღ~თისა: მამისა: ღ~თისა: ძისა: და: ღ~თისა: სულის: წმიდისა: რომლისა: დაწყება: უცნაურ: არს: და ჰგეს იგი: უკუნისამდე: მამისა: უხილავისაგან: ძე: ჭეშმარიტი: ჭეშმარიტისა: ღ~თისაგან: მოვლინე-ბული: და: კუალად: სული: წმიდა: მისაგან: გამომავალი: თავდებობითა: მინდობითა: და: შუამდგომელობითა: ძელისა: ცოვორებისა (sic): რომელსა: ზედა: განკუართულ: იქმნა: ქრისტე: ღ~თი: ჩუენი კსნისა: და: ცხორებისა: ჩუენისათუის: თავდებობითა: მინდობითა: და: შუა: მდგომელობითა: წმიდათა: ზეცისა: ძალთა ანგელოზთა: და: მთავარანგელოზთა: მიქაელ: და: გაბრილი-სათა: და: კუალად: ცრათვე: დასთა: ანგელოზთათა: თავდებობითა: მინდობითა: და: შუა: მდგომელობითა: უმეტესად: კურთხეულისა: დედოფლისა: ჩუენისა: წმიდისა: ღ~თის: მშობელისა: და: მარადის: ქალწულისა: მარიამისითა: თავდებო-ბითა: მინდობითა: და: შუამდგომელობითა: თავთა: მოციქულთა: პეტრესითა: და: პავლესითა: და: ათორმეტთა: მოციქულთათა: თავდებობითა: მინდო და: შუა: მდგომელობითა: წმიდათა: მღდელთ: მოძღუართა: ბა~ილი: გრიგოლი: ნიკოლოზ: და: იოვანე ოქრო: პირისათა: თავდებობითა: მინდობითა: და: შუა: მდგომე-ლობითა: სუეტისა: ცხოველისა: კუართისა: საუფლოსა: და: მირონისა: ღ~თ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყოფელისა: თავდებობითა: მინდობითა: და: შუა: მდგომელობითა: წმიდათა: უძლეველთა: მკედართა: გიორგი: დიმიტრი: და: ევსტათისათა: და: ყოველთა: წმიდათა: მისთათა: რომელნი: სათნო: ეყუნეს: უფალსა: ჩუენსა: იესოს: ქრისტესა: და: კულადცა სათნო ყოფად: არიან: ამათითა: მოწმდბითა: და: შუა: მდგომელობითა: დაგიდევით: ესე: წიგნი: და სიგელი: ჩუენ: ბარათა: შვილთა: ერაჯ: გულაბ: და: საჩინო: თქუენ: სუეტსა: ცხოველსა კურათსა: ზეით: ქსოვილსა: საუფლოსა: და: მირონსა: ღ͠თ: მყოფელსა: რომელი: წყაროებს: სამკურნალოდ: ყოველთა: სულთათუის მას: ჟამსა: როდეს: ძმა: ჩუენი: მღდელთ მოძღუარი: ნიკოლოზ: კათალიკოზად: იჯდა: მას: ჟამსა: ავიღეთ: სუეტეს: ცხოვლის: საქონელი: და: ბევრი: თეთრი: დავხარჯეთ: სხვისაგან: არასი: ღონე: არ დაგედებოდა: და: დაგიევით: ჩუენი: მკუდრი: და: მოუდევარ: მოუსარჩლელი: ყოვლისა ადამის: მონათესავეს, კაცისაგან: ნასოფლარი: ველ: კეთილი ყოვლისა; კაცისაგან: შემოცილებლად; ამად: რომე: იმაზედ: არას: კაცსა: კელი: არ: ედებოდა: ჩუენი: უცილებელი: მამული: იყო: და: შენის:: თეთრის: ფასად შემოგწირეთ: ნასოფლარი: ველკეთილი: სამზღუარი: მისი: ყორანთის: სამზღუარამდისი: სამშვილდის: სამზღუარამდისი: და: სატრედოს: სამზღურამდისი: ესე: ჩუენგან: თქუენის: ტეთრისსანაცულოდ: დაგუიდებია: ბარათა: შვილთა: ერაჯს: გულაბს: და: საჩინოს: ნასოფლარი: ველ: კეთილი სუეტისა: ცხოვლისა: კუართისა: საუფლოსა: და: მირონისა: ღ͠თ: მყოფელისათუის: აწე: ვინცა: ეს;: ჩუენგან: თქუენის: თეთრის: სანაცულოდ: დადებულსა: ნასოფლარს: მამულს: ველკეთილს: შემოგეცილოს: კათოლიკე: კელესიასა: საყდარსა: სამეუფოსა: და: მას: შინა: მკვიდრ: მყოფსა: მადლსა: ღ͠თისასა: კუართსა: საუფლოსა: და: მირონსა: ღ͠თ: მყოფელსა: თავადამცა: რისხავს ღ͠თი: დაუსაბამო: დაუსრულებელი: ძე: ჭეშმარიტი ჭემარიტისა: მამისაგან: გამოსული: და: სული: ცხოველს: მყოფელი: მამისაგანვე: გამომავალი: კუალადამცა: რისხავს: ყოველნი: წმიდანი: ღ͠თისანი: ჭეშმარიტად: გაცხოველებულნი: ღ͠თისაგან: შემცა: ედების: კეთრი: გეზისი: შიშთვილი: იუდასი: ძრწოლა: კაინისი: მეხ: დატეხილობა: დიოსკორესი: ცოცხლივ: დანთქმა: დათან: და: აბირონისი: კრულმცა: არს: ცათა: შინა: და: ქუეყანასა: ზედა: კუალად: კრულმცა: ყოველი: საცხორებელი: მისი: ძილი: ღუძილი: მისი: დაჯდომა: და: აღდგომა: მისი: ყოველიმცა: ნამუშაკევი: მისი: ცუდ: შრომილ: იქმნების: გინა: სასულიერო: გინა: სოფლისა: ამის: რასაც: შურებოდეს: თუისად: საცხორებელად: და: კუალად: ნუმცა: არს: კსნა: სულისა: მისისა: საუკუნოსა: სატანჯველისაგან: უკეთუ: მეფემა: შეშალოს: შენ: იგი: შეშალე: მეუფეო: მეუფეთაო: ანუ: დედოფალმა: შეშალოს: დედოფალთ: დედოფალმა: წმიდამა: ღ͠თის: შობელმა: დედოფალმა: იგი: შეშალოს: ანუ: დიდებულმან: ვინმე: ანუ: რჯულისა: გარდამავალმან: სარკინოზთაგანმან: ანუ: კარისა: მოსაქმემან: მკაწრველთაგანმან: ანუ: დიდმა: ანუ: მცირემან: გინა: რასაცა: კელისა: უფალმან: და: მოსაქმემან: იკადროს: ამა: ჩუენის: თეთრის: სანაცულოდ: ნასოფლარის: ველკეთილის: დადებულის: გა-

მოკობა: სუეტის: ცხოვლის: და: კათოლიკე: ეკლესიისა: საყდრისა: მისისა: შენ: იგი: გამოაკვე: სუეტო ღ̃თივ: აღმართებულო: კუართო: საუფლო: მირონო:. ღ̃თ: მყოფილო: და: აქა: ზემოწერილნო: ყოველნო: წმიდანო: ღ̃თისანო: ხოლო:. დამამტკიცებელნი. ღ̃თნ: დაამტკიცნეს: დაიწერა: წიგნი: ესე: ქკსა: ს̃: სამოცდა: ი̃ე:

**3 ჯვარი.**

1590 წ. დოდორქის სიგელი № 61, ბოძებული 278 ქორონიკონს კახთა მეფის ალექსანდრეს მიერ. საბუთი პირია ნამდვილისა მე-XVIII საუკუნეში გადაწერილი. ეს პირი დაწერილია ქაღალდზე ზომით $21^{1}/_{4} \times 15^{3}/_{4}$ სანტმ.

ქ: ნებითა და შეწევნითა ღ̃თისათა. ჩვენ ღ̃თივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან. პატრონმან ალექსანდრე: და თანა მემცხედრემან ჩვენმან. დედოფალთ დედოფალმან. პატრონმან თინათინ: ესე წიგნი და სიგელი. მოგახსენეთ. თქვენ გარესჯის წმიდას დავითს: და ჩვენს სასოებას და სიქადულს დოდოს რქისა. ღ̃თის მშობელსა: ასე რომე ძველთ მეფეთაგანაც. შემოწირული იყო. და ჩვენც ისრევე შემოგწირეთ და სიგლითა ამით. დაგიმტკიცეთ. წმინდის დავითის სოფელი ქატი. და დეკანოზი. ყარაული ორი და მეძროხე. და ფავლზე. მეცხვარე ერთი. ზვარი და მისი მეზვრე. და მთას. იქითური. ლალა და კულუხი. კელშეუალად. მოგვიხსენებია. წმინდის დავითისათვის: და მთას აქათური ლალა: და ჩვენის სარგოს შესაწერისაგან ორმოცი კამიწი პური. ორთავე უდაბნოთათვის მოკვიხსენებია: ამის გარეთ. დოდოს რქასა მ̃ღთის მშობელისათვინ. შემოკვიწირავს. სოფელი ტაძრები მათაანი. და უჯარმას კვამლი. კაცი. ოთხი. დეკანოზი. ყარაული. ორი. და თვალზე ზვარი და მისი მეზვრე. ესე კელშეუვალად. დოდოს რქის მღ̃თის მშობლისათვინ. კელშეუვალად. შემოგვიწირავს: ასე რომე. ამაზედ. კელი. არავის შეუვიდოდეს. არა მოურავს. არცა ნაცვალს. ერთის: ვინ გინდა ვინ იყოს ნინოწმინდელი. მისთვის. მიგვიბარებია: არავინ გვიბძანებია. ამისი მშლელი და მქცეველი: და შენ წმინდაო მამაო დავით გარეჯისაო, და დოდოს რქის წ̃ო მღ̃თისმშობელო მარიამ მეოხ გვეყავ. ორთავე შინა. ცხოვრებასა. ჩვენ მსასოებელს თქვენს მეფეს. პატრონს. ალექსანდრეს. და თანამემცხედრესა. ჩვენსა. დედოფალს თინათინს. და ძეთა. ჩვენთა. ორთავე შინა ცხოვრებასა ამინ: დამამტკიცებელნი ამისნი. ღ̃თნ აკურთხნეს: ქ̃კს: სოჱ:

ეროვნული ბიბლიოთეკა



1594 წ. შუამთის სიგელი № 2, ბოძებული 282 ქორონიკონს კახეთის მეფის ალექსანდრეს მიერ, დაწერილია ქაღალდზე ზომით 113×23 სანტიმ. შავად აწყობილი დედანში წითურადა.

**ქ. ეჰა:. ტომებით: ასულო:. ადამისო: და:. მადლით:. დედაო:. ღ῀თისაო:. რომელი:. კსნისათვის:. ჩუენისა:. აღიძრა:. წყალობით:. მაღალი:. იგი:. და: სათნო:** ყოფითა: მამისათა: და: წინა: მძღრობითა:. სულისა: წმიდისათა: შაღალი:. იგი:. ძე:. **ღ῀თისა:**. ძედ: შენდა: იქმნა: და: ღ῀თაებით: უქცეველმან: შეიმოსა: ბუნება: ადამისი იდაკსნა: მწუხარება: ევასი:. და: ნაშობთა: მისთა:. ჭეშმარიტო: სალხინებელო: კაცთა: ბუნებისაო: ნოეს: ზე: წყლით: რღვნისაებრ: ცოდვათა:. ჩუენთა: წარმღუნლო: უფლისა: საყუარელისა: აბრაჰამის: კარაო: **და: ღ῀თისა:** დამტევნელო:. დავით: პირველისა: მამისა:. შენისა: დაუჭნობელო: ვარდო: სოლომონის: ქებაო: ქებათაო: რომელსა: გარე: მოგადგჳენ: სამეოცნი:. ძლიერნი: იაკობის: კიბეო: ცად: მიმართ: აღწევნულო: აჰრონის: კუერთხო:. უცხო: სახედ: აღყუავებულო: მოსეს: მიერ: ხილულო: მაყუალო: ცეცხლ:. შეუხებელო:. ხეო: შვენიერო: იესეს: ძირთაგან: აღმოცენებულო:. ესაიას: მიერ:. ღრუბლად: სულმცირედ: სახეულ: დებულო: ამბაკობისგან: მთად: **ღ῀თისად**:. ჩრდილოვნად: მოსწავებულო: ყოველთა:. წინასწარმეტყუელთა: ჭეშმარიტო: მოწავებაო:. მოციქულთა:. მიერ: მრავალ:. სახედ: ქადაგებულო: მოწამეთა: სიხარულო: და: მღდლთ: მოძღვართა: სიქადულო: პატიოსანო: ძღუენო: კაცთა: ნათესავისაო: სახელდიდო: და ქალწულო: დედაობით: ახალო:. მზესა: ქუეშე: ყოვლისავე: სჯულისა: ქებათასა: აღმატებულო: **ყოვლად:. წმიდაო:. ხახულისა: ღ῀თისმშობელო:**. მესმა: ვითარმედ: შეიწირნა:. ძემან: შენმან: მწულილნი:. იგი: ქურივისანი: და: მეცა: არა: კუებულ: ვიქმენ: სასოებისაგან: არამედ: მე: მსასოებელმან: თქუენმან: და: ძისა: თქუენისამან: და: მინდობილმან: ცვა: ფარვათა: თქუენთამან: ჩუენ: **ღ῀თივ**: გჳრგჳნოსანმან:. მეფეთ: მეფემან: პატრონმან:. **ალექსანდრე**:. და: თანა: მეცხედრემან: ჩუენმან: დედოფალთა: დედოფალმან: პატრონმან: **თინათინ**:. და: ძეთა: ჩუენთა: ვიგულეთ: და: ვიგულსმოდგინეთ: და შემოგწირეთ: დიდებულსა: ტაძარსა: თქუენსა: ხახულისა: ღ῀თისმშობელსა:. სასოსა:. და: მეოხსა: სულისა:. ჩუენისასა:. და:. მეფობისა: ჩუენისა: წარმმართებელსა: მოგახსენეთ:. და: შემოგწირეთ:. იყალთოს: ბარძიმის: შვილი: გუგუნა: მისითა: სასახლითა:. საყდრითა:. გარეშემოთა: ვენაკითა: ჭურმარნითა: საკნავითა:. სათიბითა: მთითა: წყლითა: წისქუილითა: და: სანადიროთა:. კიდევე: რუისპირს: წილად: გაყოფილი: და: ნარგები: ზვარი: მისით:. მეზურითა: ერთი: კიდევე: რუისპირს:. მისითა: საკნავითა:. სათიბითა: ტყითა: ველითა: წყლითა: წისქუილითა: და: ყოვლითა: მისითა:. სამართლიანითა:. სახასოთა: კიდევე: იყალთოთ:. მისიეული:. კუამლი: კაცი: ხუთი: ყასიმასშვილი მამისიმედი:. ჩახიასშვილი კლიკო: გიორგასშვილი იოანე: ხუცასშვილი გიორგი: და: ჭიკო: არატუაზნით:. კიდევე: კუამლი: კაცი:. ცხრა: ბობლაძე: ლაკიტაური შიო:

ეროვნული ბიბლიოთეკა



მგელია: ურუმშა: მარ*ია: დათვია: ბასილა: ალექსასშვილი: შიო მახარებელი: კიდევე: ნექას. შვილი ობლები: ორი:. მისით: ნაოკრით: ჰონისშვილის ნაოკარი: ერთი: რუისპირს: კუამლი: კაცი:. ერთი: შალვა: სხვა: ნურალასეული:. ნაოკარი: ერთი: კიდევე: ბოტკოს: კუამლი: კაცი:. ერთი: მისითა: საკნავითა: სათიბითა:. ნაოკრითა:. და:. ყოვლითა:. მისითა:. სამართლიანითა:. სამზღურითა: კიდევე:. ჩალმათ: ყნდახს: კუამლი: კაცი: ოთხი: ქემარზა: ვარდია: ზარდია: მახარა: მათითა: მამულებითა: ვენაკითა: ჰურმარნითა: საკნავითა: სათიბითა: წყლითა: წისქუილითა: ტყითა:. ჰალითა: სანადიროთა:. ყოვლითა:. მათითა: სამართლიანითა. სამძღუირითა: და: უმზღურითა: ყოვლითურთ:. უკლებლად:. ასრე:. რომე: არა: ეთხოებოდესრა: სამეფო: და:. სადედოფლო: სათხოვარი:. და: გამოსაღები: ერისა:. ლაშქრობისა: და: ნადირობისაგან:. კიდე:. კელ:. მოხსნით:. და:. განთავისუფლებით:. შემოგუიწირავს:. თქუენ: **ყოვლად:. წმიდისა:. ხახულისა: ღ̃თის მშობლისათვის**:. იყალთოს: მაყასშვილი: გუგუნა: და მისი: ეული: კუამლი: კაცი: ოცდაოთხი: ცხორებისა: ჩუენისა: წარსამართებელად:. და: სადღეგრძელოდ. და:. ცოდვათა: ჩუენთა: შესანდობელად:. არა: მოგეშალოს: არა: ჩუნგან: და: არა:. შემდგომად:. ჩუენსა: სხვათა: მეფეთა: და დედოფალთაგან: ესე: ასრე: შემოგუიწირავს: და: დაგუიმტკიცებია: აწე:. ვინცა: და: რამანცა: კაცმან: ანუ: მეფემან:. და: ანუ: დედოფალმან: ანუ:. უფლისწულმან: დიდმან: ანუ: მცირემან: კელყოს: ქცევად:. და:. შლად:. ანუ: გამოაკოს:. ტაძარსა: თქუენსა: ჩუენგან:. სასოებით:. მოძღვანებული:. ესე:. და:. დამტკიცებული:. შენ:. **ყოვლად: წმიდაო:. ხახულისა:. ღ̃თასმშობელო**:. მისგან: იძიე:. შური: ჯვარისმცუმელთა: ძისა:. შენისათა: შემცა:. ედების: ძრწოლა: კაინისი: შიშთვილი:. იუდასი: კეთრი:. გეეზისი:. და:. ნთქმა: დათან:. და აბირონისი: და:. ნურათამცა:. სინანულითა:. ნუ:. იქმნების: კსნა:. სულისა:. მისისა:. და ვინცა:. დაამტკიცოს:. ღ̃თნ:. ყოველი:. გაგებული:. მისი:. დამტკიცოს:. და:. იწერა: მტკიცე:. და უცვალებელი:. სიგელი:. და:. ბ̃ბა:. ესე: ქ̃კსა:. სპბ.

**ხვეულად**: კელმწიფე ალექსანდრე:. ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა ამინ:. თინათინ:.

და არცა:. მეკობრის მძებნელი:. ჩაუდგებოდეს:.

**ხვეულ**.: ალექსანდრე

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავში მიკრულია სხვა ქაღალდი ზომით $23\,^{1}/_{2} \times 22\,^{3}/_{4}$, სანტიმ., რომელზედაც სწერია:

ქ. მომებარა. მე. ნიკოლაოზ. მოძღვარათ. მოძღვარს. მისის. სიმაღლის. მეფისა. მეორეს. ჰირაკლისაგან. გუჯრები. ესე. შეკრებულნი. რიცხვით. ორმოცდა. თერთმე. ტი და მეთორმეტეც. მე მიპოვნია. დაქ. ჩამიდვია. განთუ. სრულად. გუჯრებია. უფროსი. ერთი. გუჯრები. და ეკლესის. განჩენები. და ზოგნი. ერთი. მცირე. ოქმები. და გლეხის. კაცთ. სიგლები. და ნასყიდობის. წიგნები აპრილს. ი ქკს. უნბ. ერთი. გუჯარიც. რუსეთიდამე ამ. თარიღში. მდივნის. წიგნებთან. მოვიდა. ბაჟისა. ივნის. კ ქ̃კს. უნზ. სხვა მელნით: ორი. სიგელიც. მე. ვიპოე. ამას. გარდა.